



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 26

2016 წელი 21 მარტი



ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის ინფრასტრუქტურას მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი. დაიტბორა ხაშურში, დაბა სურამში და ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში, მდინარე სურამულას მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების სახურავები, რის გამოც საჭირო გახდა დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მე-3 პუნქტის მიხედვით, პროგრამის მოქმედება განისაზღვრა 2016 წლის 1 აპრილამდე. მოქალაქეების მიერ ამ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია, რის გამოც საჭირო გახდა 2015 წლის 15 დეკემბრის №158 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №158 განკარგულებაში და პროგრამის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. პროგრამის ხანგრძლივობა
პროგრამა მოქმედებს 2016 წლის 1 ივნისამდე.“
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე